საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ტექნოლოგიური ფაკულტეტის

საკონკურსო კომისიის

სხდომის ოქმი №2

ქ. ბათუმი 23 ივლისი, 2018 წელი

სხდომას ესწრებიან:

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 ივლისის დადგენილებით განსაზღვრული საკონკურსო კომისიის წევრები:

1. ვახტანგ არაბიძე (კომისიის თავმჯდომარე);
2. კონსტანტინე ჩხიკვაძე;
3. ხომასურიძე დიანა;
4. გიორგი ქავთარაძე;
5. მამუკა ბენაშვილი;
6. ზურაბ მეგრელიშვილი;
7. ენვერ ხალვაში
8. გაიოზ ფაცხალაძე (მდივანი).

დღის წესრიგი:

1. **თითოეული კონკურსანტის შეფასება** *„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების N4 დანართის* **„კონკურსანტის შეფასების ფორმის"** *მიხედვით* **და მათთვის პრეტენდენტების სტატუსის განსაზღვრა.**
2. **პრეტენდენტების** სტატუსის **მინიჭების შემთხვევაში** პრეტენდენტებთან გასაუბრების განრიგის დამტკიცება.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი:

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს განუმარტა, რომ *საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის* **თანახმად,** კონკურსანტის **შეფასების ფორმის** <u>**პირველი კატეგორიის**</u> **უარყოფითად შეფასების შემთხვევაში,** კონკურსანტი შემდგომ კატეგორიებში არ ფასდება და საკონკურსო კომისია

უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის <u>კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.</u>

კომისია კონკურსანტის ანკეტაში მოცემული ინფორმაციის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სხვა სახის ინფორმაციის საფუძველზე აფასებს კონკურსანტს, ავსებს კონკურსანტის შეფასების ფორმას სრულად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით კონკურსანტის შეფასების ფორმის მე-2 და მე-3 კატეგორიაში ფიქსირდება შეფასება არანაკლებ ,,საშუალო", **ანიჭებს კონკურსანტს პრეტენდენტის სტატუსს.**

შეფასების შედეგად შედგენილი უნდა იქნეს იმ კონკურსანტთა/პრეტენდენტთა სია, რომლებიც ამ წესისა და კონკურსანტისათვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად მონაწილეობას მიიღებენ კონკურსში (შემდეგ ეტაპებზე) და იმ კონკურსანტთა სია, რომლებიც კონკურსის პირობებთან არათავსებადობის გამო მოიხსნებიან კონკურსიდან (ასეთ შემთხვევაში).

მოცემულ შემთხვევაში განსახილველია/შესაფასებელია 12 (თორმეტი) კონკურსანტის განცხადება თანდართული დოკუმენტებით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის მდივანმა აღნიშნა, რომ კომისიაში წარმოდგენილი განცხადებები შემოტანილია შემდეგი კონკურსანტების მიერ:

N	დარგობრივი დეპარტამენტი	დარგი/მიმართულება	საკონკურსო საშტატო ერთეული	კონკურსანტები
1	ინჟინერიისა და მშენებლობის დეპარტამენტი	მშენებლობის ტექნოლოგია	1 ასოცირებული პროფესორი	თემურ თურმანიძე;
		კომპიუტერული პროექტირება მშენებლობაში	1 ასოცირებული პროფესორი	გოჩა ჩავლეშვილი
		ტელეკომუნიკაცია	2 ასოცირებული პროფესორი	ნუგზარ ჭედია; ოთარ ჯანელიძე;
2	ტექნოლოგიებისა და საინჟინრო მენეჯმენტის დეპარტამენტი	ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები	2 ასოცირებული პროფესორი	დავით ჩხაიძე; ნორა მამულაიშვილი;
3	აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტი	აგროეკოლოგია	1 ასოცირებული პროფესორი	ნარგულ ასანიძე;
		სატყეო საქმე	1 ასოცირებული პროფესორი	დარეჯან ჯაში; გურამ ჩხუბაძე;
4	აგროტექნოლოგიისა და აგროინჟინერიის დეპარტამენტი	აგრონომია	2 ასოცირებული პროფესორი	შოთა ლომინაძე; შოთა ლამპარაძე;

		აგროინჟინერია	1 ასოცირებული პროფესორი	მერაბ მამულაძე;

კომისიის წევრებმა ერთობლივად იმსჯელეს და შეაფასეს კონკურსანტები და შეფასების შედეგი ასახეს ,,კონკურსანტის შეფასების ფორმებში". აღნიშნულის შემდეგ, ღია კენჭისყრით, კომისიამ ერთხმად

<u>**დაადგინა:**</u>

1.დამტკიცდეს იმ **პრეტენდენტთა სია** და მათთან გასაუბრების განრიგი (დანართი 1), რომლებიც **დაშვებულნი არიან შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.** მათვე განემარტოთ, რომ საკონკურსო კომისია უფლებამოსილია გასაუბრებაზე გამოცხადებულ კონკურსანტს მოსთხოვოს საცდელი ლექციის ჩატარება (დანართი 2);

2.წინამდებარე საოქმო გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (გადაიგზავნოს ინფორმაცია ელექტრონული მისამართზე: web@bsu.edu.ge).

კომისიის თავმჯდომარე **ვახტანგ არაბიძე**

მდივანი **გაიოზ ფარცხალაძე**

ტექნოლოგიური ფაკულტეტის
საკონკურსო კომისიის სხდომის №2 ოქმით
დამტკიცებული
დანართი 1

ტექნოლოგიური ფაკულტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის მონაწილე კონკურსანტებთან გასაუბრების განრიგი

№	ვაკანტური თანამდებობა	პრეტენდენტის სახელი და გვარი	გასაუბრების ჩატარების ადგილი	გასაუბრების ჩატარების დრო	
				24.07.2018	24.07.2018
1	ასოცირებული პროფესორი	ოთარ ჯანელიძე	ქ. ბათუმი ფიროსმანის ქ. №12 (მეორე სართული, აუდიტორია 207)	14:00	14:20
2	ასოცირებული პროფესორი	ნუგზარ ჭედია	ქ. ბათუმი ფიროსმანის ქ. №12 (მეორე სართული, აუდიტორია 207)	14:25	14:45
3	ასოცირებული პროფესორი	თემურ თურმანიძე	ქ. ბათუმი ფიროსმანის ქ. №12 (მეორე სართული, აუდიტორია 207)	14:50	15:10
4	ასოცირებული პროფესორი	გოჩა ჩავლეშვილი	ქ. ბათუმი ფიროსმანის ქ. №12 (მეორე სართული, აუდიტორია 207)	15:15	15:35
5	ასოცირებული პროფესორი	დავით ჩხაიძე	ქ. ბათუმი ფიროსმანის ქ. №12 (მეორე სართული, აუდიტორია 207)	15:40	16:00
6	ასოცირებული პროფესორი	ნორა მამულაიშვილი	ქ. ბათუმი ფიროსმანის ქ. №12 (მეორე სართული, აუდიტორია 207)	16:05	16:25
7	ასოცირებული პროფესორი	შოთა ლომინაძე	ქ. ბათუმი ფიროსმანის ქ. №12 (მეორე სართული, აუდიტორია 207)	16:30	16:50
8	ასოცირებული პროფესორი	შოთა ლამპარაძე	ქ. ბათუმი ფიროსმანის ქ. №12 (მეორე სართული, აუდიტორია 207)	16:55	17:15
9	ასოცირებული პროფესორი	ნარგულ ასანიძე	ქ. ბათუმი ფიროსმანის ქ. №12 (მეორე სართული, აუდიტორია 207)	17:20	17:40
10	ასოცირებული პროფესორი	მერაბ მამულაძე	ქ. ბათუმი ფიროსმანის ქ. №12 (მეორე სართული, აუდიტორია 207)	17:45	18:05
11	ასოცირებული პროფესორი	დარეჯან ჯაში	ქ. ბათუმი ფიროსმანის ქ. №12 (მეორე სართული, აუდიტორია 207)	18:10	18:30
12	ასოცირებული პროფესორი	გურამ ჩხუბაძე	ქ. ბათუმი ფიროსმანის ქ. №12 (მეორე სართული, აუდიტორია 207)	18:35	18:55

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ტექნოლოგიური ფაკულტეტის

საკონკურსო კომისიის

სხდომის ოქმი №3

ქ. ბათუმი 24 ივლისი, 2018 წელი

სხდომას ესწრებიან:

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 ივლისის დადგენილებით განსაზღვრული საკონკურსო კომისიის წევრები:

1. ვახტანგ არაბიძე (კომისიის თავმჯდომარე);
2. კონსტანტინე ჩხიკვაძე;
3. ხომასურიძე დიანა;
4. გიორგი ქავთარაძე;
5. მამუკა ბენაშვილი;
6. ზურაბ მეგრელიშვილი;
7. ენვერ ხალვაში
8. გაიოზ ფაცხალაძე (მდივანი).

დღის წესრიგი:

ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N 01-08/64 ბრძანებით გამოცხადებული ,,ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის მონაწილე კონკურსანტების, იგივე საკონკურსო კომისიის N2 სხდომის ოქმის შედეგად პრეტენდენტებად ცნობილი პირების კონკურსის მეორე ეტაპზე (გასაუბრებაზე ან/და საცდელი ლექცია) შეფასება.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს განუმარტა, რომ *,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის* თანახმად, კონკურსანტებთან გასაუბრება ტარდება საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, დადგენილ დროს და ადგილზე. გასაუბრების მიზანია დაზუსტდეს ან/და დაკონკრეტდეს კონკურსანტის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია, შეფასდეს მისი პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემის უნარი, ლოგიკური აზროვნების უნარი და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მისი შემდგომი საქმიანობის სფეროსთან;

გასაუბრებაზე კონკურსანტის დაგვიანებით გამოცხადების შემთხვევაში, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, იმავე დღეს ჩაატაროს გასაუბრება;

გასაუბრება შესაძლებელია ჩატარდეს როგორც კითხვა-პასუხის, ასევე, კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, კონკურსანტის მიერ გარკვეული საკითხების მოკლე მიმოხილვის სახით. გასაუბრების მოკლე მიმოხილვა აისახება საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში;

საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება პრეტენდენტების მიერ საცდელი ლექციის ჩატარების ან სხვა ისეთი აქტივობების განხორციელების შესახებ, რომელიც გამოდგება პრეტენდენტების სრულყოფილად შეფასების დამატებით საფუძვლად;

საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, პრეტენდენტის თანხმობით მიიღოს გადაწყვეტილება გასაუბრების მიმდინარეობის ვიდეო ან აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით. **კონკურსანტის მიერ გასაუბრებაზე/საცდელი ლექციაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა** წარმოადგენს კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს;

გასაუბრებაზე დადგენილ დროს გამოცხადნენ შემდეგი კონკურსანტები:

1	ოთარ ჯანელიძე
2	ნუგზარ ჭედია
3	თემურ თურმანიძე
4	გოჩა ჩავლეშვილი
5	დავით ჩხაიძე
6	ნორა მამულაიშვილი
7	შოთა ლომინაძე
8	შოთა ლამპარაძე
9	ნარგულ ასანიძე
10	მერაბ მამულაძე
11	დარეჯან ჯაში
12	გურამ ჩხუბაძე

პრეტენდენტებთან გასაუბრება წარიმართა წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით. თითოეულ პრეტედენტს დაესვა კითხვები და მიღებული იქნა პასუხები.

კომისიამ პრეტენდენტებთან გასაუბრების შემდეგ ღია კენჭისყრით დაადგინა:

1. საცდელი ლექციის ჩატარება ეთხოვა ორ კონკურსანტს: დარეჯან ჯაშს და გურამ ჩხუბაძეს.
2. კომისიამ პრეტენდენტებთან გასაუბრების ჩატარების და საჩვენებელი ლექციების მოსმენის შემდეგ ღია კენჭისყრით დაადგინა:

პრეტენდენტების შეფასებები კონკურსის მეორე ეტაპზე (გასაუბრება, ლექცია)

პრეტენდენტის სახელი და გვარი	მაღალი	საშუალო	დაბალი
ოთარ ჯანელიძე		X	
ნუგზარ ჭედია		X	
თემურ თურმანიძე		X	
გოჩა ჩავლეშვილი	X		
დავით ჩხაიძე		X	
ნორა მამულაიშვილი		X	
შოთა ლომინაძე		X	
შოთა ლამპარაძე		X	
ნარგულ ასანიძე	X		
მერაბ მამულაძე		X	
დარეჯან ჯაში	X		
გურამ ჩხუბაძე	X		

საკონკურსო კომისიამ მომდევნო სხდომაზე, ფარული კენჭისყრით გამოავლინოს გამარჯვებული კონკურსანტები. ეთხოვოს კომისიის მდივანს მოამზადოს შესაბამისი მასალა.

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ არაბიძე

მდივანი გაიოზ ფარცხალაძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ტექნოლოგიური ფაკულტეტის

საკონკურსო კომისიის

სხდომის ოქმი №4

ქ. ბათუმი 25 ივლისი, 2018 წელი

სხდომას ესწრებიან:

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 ივლისის დადგენილებით განსაზღვრული საკონკურსო კომისიის წევრები:

1. ვახტანგ არაბიძე (კომისიის თავმჯდომარე);
2. კონსტანტინე ჩხიკვაძე;
3. ხომასურიძე დიანა;
4. გიორგი ქავთარაძე;
5. მამუკა ბენაშვილი;
6. ზურაბ მეგრელიშვილი;
7. ენვერ ხალვაში
8. გაიოზ ფაცხალაძე (მდივანი).

დღის წესრიგი:

ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N 01-08/64 ბრძანებით გამოცხადებული ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტების გამოვლენა.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ განმარტა:

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის თანახმად, კონკურსანტების შეფასებების განხორციელების შემდეგ ტარდება

ფარული კენჭისყრა და კონკრეტულ საკონკურსო თანამდებობაზე არჩეულად ითვლება პირი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ კომისიის სხდომაზე დამსწრეთა აუმრავლესობისა. ერთ თანამდებობაზე გამარჯვებულად ცხადდება ერთი კანდიდატი.

საკონკურსო თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებულის/გამარჯვებულების (ორი ან მეტი ერთნაირი საკონკურსო თანამდებობის არსებობის შემთხვევაში)

გამოვლენის მიზნით საკონკურსო კომისიის თითოეულ წევრს აქვს იმდენი ხმის უფლება, რამდენი საკონკურსო პოზიციაც არის შესაბამის კონკურსში. ოქმში **უნდა ავსახოთ მიღებული გადაწყვეტილებების (მათ შორის, შეფასებების) საფუძვლიანობა,** კონკურსანტთა გამარჯვებულად გამოცხადების ან გამარჯვებულად გამოცხადებაზე უარის თქმის შინაარსობრივი საფუძვლები და დასაბუთება.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა ზურაბ მეგრელიშვილმა, რომელმაც ხაზი გაუსვა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების სრულყოფილებას, გასაუბრების პროცესში მათ მხრიდან გამოვლენილ უნარებს და ვაკანსიისათვის წაყენებული მოთხოვნების შესაბამისობას, რასაც დაეთანხმნენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

კომისიის მდივანმა განმარტა:
როგორც საკონკურსო კომისიის წინა სხდომაზე დამევალა, მოვამზადე მასალა გამარჯვებული კონკურსანტების გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრის ჩასატარებლად. წარმოგიდგენთ ვაკანტური თანამდებობებისა და კონკურსანტების მითითებით დაბეჭდილ ბიულეტენებს საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით. ბიულეტენში თითოეული ჩვენთაგანის მიერ ხმის მიცემა შესაძლებელია მოხდეს ერთი რომელიმე კონკურსანტის შემოხაზვით. ბიულეტენი არ იძლევა საკონკურსო კომისიის წევრის იდენტიფიცირების საშუალებას.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა: კომისიის წევრი არ სარგებლობს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით. ბიულეტენები დალაგებულია განცალკავებულად, თითოეულმა ჩვენგანმა შემოვხაზოთ ის კანდიდატი, რომელმაც,

საკონკურსო კომისიის საერთო შეფასებით მიიღო საშუალო/მაღალი შეფასება და რომლის საკონკურსო მონაცემები აღემატება სხვა კონკურსანტის მონაცემებს.

<u>საკონკურსო კომისიის თითოეული წევრის მიერ ფარულად ხმის მიცემის შედეგად:</u>

ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე ინჟინერიისა და მშენებლობის დარგობრივ დეპარტამენტში

ტელეკომუნიკაციის მიმართულებით

ასოცირებული პროფესორის 2 ვაკანტურ თანამდებობაზე:
კონკურსანტებმა

ა) ოთარ ჯანელიძემ მიიღო 8 ხმა
ბ) ნუგზარ ჭედიამ მიიღო 8 ხმა

მშენებლობის ტექნოლოგიის მიმართულებით

ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე:
კონკურსანტებმა

ა) თემურ თურმანიძემ მიიღო 8 ხმა

მიმართულებით - კომპიუტერული პროექტირება მშენებლობაში

ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე:
კონკურსანტებმა

ა) გოჩა ჩავლეშვილმა მიიღო 8 ხმა

ტექნოლოგიებისა და საინჟინრო მენეჯმენტის დარგობრივი დეპარტამენტში

მიმართულებით - ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები

ასოცირებული პროფესორის 2 ვაკანტური თანამდებობაზე:
კონკურსანტებმა:
ა) დავით ჩხაიძემ მიიღო 8 ხმა
ბ) ნორა მამულაიშვილმა მიიღო 8 ხმა

აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივ დეპარტამენტში
აგროეკოლოგიის მიმართულებით:

ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანტური თანამდებობაზე:
კონკურსანტმა:
ა) ნარგულ ასანიძემ მიიღო 8 ხმა.

სატყეო საქმის მიმართულებით:

ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანტური თანამდებობაზე:
კონკურსანტებმა:
ა) დარეჯან ჯაშმა მიიღო 5 ხმა;
ბ) გურამ ჩხუბაძემ მიიღო 3 ხმა;

აგროტექნოლოგიისა და აგროინჟინერიის დარგობრივი დეპარტამენტში
აგრონომიის მიმართულებით:

ასოცირებული პროფესორის 2 ვაკანტური თანამდებობაზე:
კონკურსანტებმა:
ა) შოთა ლომინაძემ მიიღო 8 ხმა;
ბ) შოთა ლამპარაძემ მიიღო 8 ხმა;

აგროინჟინერიის მიმართულებით

ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანტური თანამდებობა:

კონკურსანტი:
ა) მერაბ მამულაძემ მიიღო 8 ხმა.

დაადგინეს:
საკონკურსო კომისიის **ფარული კენჭისყრის** საფუძველზე მიღებული შედეგები საკონკურსო კომისიის მდივანმა ასახოს კომისიის შემაჯამებელ ოქმში.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ არაბიძე

მდივანი გაიოზ ფარცხალაძე